ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე – კოლეგიის წევრი

ანა ლორია - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ლ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 13.12.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 098/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ დ. ვ. -ის მიმართ /სიითი /

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ დ. ვ. -სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 13 დეკემბერს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლ. გ. -მ, მოითხოვა ადვოკატ დ. ვ. -სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და საადვოკატო ჰონორარის თანხის დაბრუნება. 2018 წლის 5 თებერვალს საჩივრის ავტორმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ზეპირი ფორმით წარმოადგინა ახსნა-განმარტება საჩივართან დაკავშირებით. საჩივრის ავტორმა 2018 წლის 31 მაისს განხილვის კოლეგიას ზეპირად განუმარტა საჩივართან დაკავშირებული გარემოებები.

1.2 ლ. გ. -ის განცხადებით, 2017 წლის 06 ოქტომბერს მან ადვოკატ დ. ვ. -სთან გააფორმა საადვოკატო მომსახურების Nxxx/xx ხელშეკრულება. ხელშეკურლების მიხედვით, ადვოკატს ლ. გ. -სთვის უნდა

გაეწია მომსახურება მისი პაპის საკუთრებაში არსებული ქონების გაფორმებასთან დაკავშირებით. ლ. გ. -ის განმარტებით, მან ხელშეკრულების თანახმად საადვოკატო ჰონორარის სახით ადვოკატს გადასცა 1000 (ათასი) აშშ დოლარი და ხარჯისთვის 300 (სამასი) ლარი. ამის შემდეგ ადვოკატმა დ. ვ. -მ ლ. გ. -ს სამოძრაო ხარჯისთვის კიდევ მოსთხოვა 200 (ლარი). საჩივრის ავტორმა ადვოკატს 200 (ორასი) ლარი ვეღარ გადასცა და სთხოვა, რომ განემარტა თუ რა გზით აპირებდა სახლის ლ. გ. -ის სახელზე გადაფორმებას. აღნიშნულზე ადვოკატმა განუმარტა, რომ განცხადება შეიტანა საჯარო რეესტრში აღიარების კომისიაში. ლ. გ. -ს ეჭვი შეეპარა ადვოკატის პოზიციაში, რადგან ამ გზით სახლის გაფორმებას 6 თვე დასჭირდებოდა და ადვოკატს სთხოვა, რომ სახლი მემკვიდრეობის საფუძვლით გაეფორმებინა, რაზეც ადვოკატმა უარი უთხრა. საჯარო რეესტრიდან განცხადების დაკმაყოფილებაზე უარი მოვიდა, რადგან საკითხი მემკვიდრეობის კუთხით უნდა გადაწყვეტილიყო.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისთვის მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ მის ძმას სხვა ადვოკატისთვის მიმართული ჰქონდა მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებით. ლ. გ. -ის განმარტებით, ის დაუკავშირდა ადვოკატ დ. ვ. -ს და მოსთხოვა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების გაუქმება და ადვოკატისთვის გადაცემული ჰონორარის 1000 (ათასი) აშშ დოლარის უკან დაბრუნება. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა უარი განაცხადა თანხის დაბრუნებაზე და განუმარტა მას, რომ გააგრძელებდა სახლის დაკანონების საქმის წარმოებას, თუმცა სახლი დაკანონებას არ ექვემდებარებოდა, რადგან აღრიცხული იყო ლ. გ. -ის პაპის ს. ხ. -ის სახელზე. ადვოკატმა ასევე უარი თქვა თანხის დაბრუნებაზე იმ მოტივით, რომ საადვოკატო მომსახურების გაწევას მოახმარა თანხის ნაწილი. საჩივრის ავტორმა მოსთხოვა ადვოკატს შესაბამისი ქვითრების წარმოდგენა იმის დასადგენად თუ რაში დახარჯა ადვოკატმა გადაცემული თანხა, თუმცა ადვოკატს მისთვის ქვითრები არ წარუდგენია და მხოლოდ იუსტიციის სახლიდან გამოთხოვილი საბუთები დაუბრუნა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან რამდენჯერმე სცადა ადვოკატ დ. ვ. -სთან დაკავშირება, თუმცა ადვოკატი მისი ხმის გაგონებისთანავე ტელეფონს თიშავდა, ხოლო მოკლე ტექსტურ შეტყობინებებზე პასუხს არ სცემდა.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, თუ ადვოკატი მას დაუბრუნებს 1000 (ათასი) აშშ დოლარს, მის მიმართ დისციპლინირების შესახებ მოთხოვნა აღარ ექნება.

2. ადვოკატის პოზიცია:

3.1 ადვოკატმა დ. ვ. -მ 2018 წლის 9 თებერვალს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, ხოლო 2018 წლის 31 მაისს განხილვის კოლეგიის სხდომაზე ზეპირი ფორმით წარმოადგინა ახსნა-განმარტება მის მიმართ წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორს ჰქონდა გარკვეული ქონება რომლის დაკანონებაც სურდა, რასთან დაკავშირებითაც მიმართა ადვოკატს. ადვოკატსა და საჩივრის ავტორს შორის გაფორმდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. ადვოკატმა საჩივრის ავტორს საადვოკატო მომსახურების საფასურად 1000 (ათასი) აშშ დოლარი და ხარჯებისთვის 200 (ორასი) აშშ დოლარი მოსთხოვა. საჩივრის ავტორმა ადვოკატს 1000 (ათასი) აშშ დოლარი გადასცა, ხოლო ხარჯისთვის ნაცვლად 200 (ორასი) აშშ დოლარისა, გადასცა 300 (სამასი) ლარი.

3.2 ადვოკატ დ. ვ. -ის განმარტებით, როდესაც მან კლიენტის საქმის წარმოება დაიწყო აღმოაჩინა, რომ ამ საქმეზე სხვა ადვოკატებსაც ჰქონდა ნამუშევარი და მოგროვებული ინფორმაციის შეჯერებით ადვოკატმა გადაწყვიტა, რომ მიემართა მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიისთვის. ადვოკატმა მოამზადა აზომვითი ნახაზები, მოიძია საქმესთან დაკავშირებით მოწმეები და ლ. გ. -სთან ერთად შეიტანა განაცხადი საჯარო რეესტრში სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლებათა რეგისტრაციასთან დაკავშირებით. ადვოკატის თქმით, ამ გზით სახელმწიფო დაეხმარებოდა მას დოკუმენტების მოგროვებაში და შემდეგ უფლების რეგისტრაციაში. საქმის წარმოებისას აღმოჩნდა, რომ ქონება, რომლის დაკანონებაც ლ. გ. -ს სურდა, იყო ლ. გ. -ის ბაბუის საკუთრებაში რიცხული და წარმოადგენდა სამკვიდრო ქონებას. ადვოკატმა კლიენტს განუმარტა, რომ საქმე მემკვიდრეობის გზით უნდა გაგრძელებულიყო და მოსთხოვა ნოტარიუსთან წარსადგენი დოკუმენტაციის მისთვის გადაცემა. ვიდრე ადვოკატი ნოტარიუსს მიმართავდა სამკვიდრო მოწმობასთან დაკავშირებით, მას დაუკავშირდა ლ. გ. და აცნობა, რომ აღარ სურდა მისი მომსახურება. ადვოკატ დ. ვ. -ის თქმით, ლ. გ. -ის მოწინააღმდეგე მხარე იყო მისი ძმა, რომელსაც ასევე ჰყავდა ადვოკატი. ლ. გ. ადვოკატ დ. ვ. -სთან შეუთანხმებლად მოურიგდა თავისი ძმის ადვოკატს, რომ მისი საქმეც ეწარმოებინა და ამის შემდეგ გააუქმა ადვოკატ დ. ვ. -ზე გაცემული მინდობილობა.

3.3 განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ კეთილსინდისიერად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და ჰონორარის უკან დაბრუნებას არ აპირებდა, რადგან კლიენტი სხვა ადვოკატს შეუთანხმდა მომსახურებაზე და ამ მოტივით, საკუთარი ინიციატივით შეწყვიტა ხელშეკრულება ადვოკატთან.

3.4 ეთიკის კომისიის შეკითხვაზე, განუმარტა, თუ არა წინასწარ ადვოკატმა ლ. გ. -ს ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით მოსალოდნელი ხარჯების შესახებ, კერძოდ, კონკრეტულად რისთვის იყო გათვალისწინებული ის დამატებითი ხარჯი, რაც ადვოკატმა მოსთხოვა კლიენტს, დ. ვ.-მა განმარტა, რომ მსგავსი სახის ინფორმაცია კლიენტისათვის წინასწარ არ მიუწოდებია. ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტს გამოართვა 300 (სამასი) ლარი ხარჯის სახით ეს თანხა, მან აიღო ზოგადად, საქმის საჭიროებებიდან გამომდინარე, რაც შესაძლოა მომავალში წარმოშობილიყო. ადვოკატმა ასევე განმარტა, რომ აღნიშნული თანხების (მინდობილი ხარჯების) ხარჯთაღრიცხვას არ აწარმოებდა.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

4.1 ადვოკატი დ. ვ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი /, სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი. ადვოკატს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

4.2 ლ. გ. -მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2017 წლის 13 დეკემბერს.

4.3 ადვოკატის მიერ სადავო ქმედება განხორციელდა 2017 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32 მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

5. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

2018 წელის 15 მარტს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ დ. ვ. -ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ვინაიდან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა იქამდე დასრულდა ვიდრე ადვოკატი შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებას მთლიანად შეასრულებდა, ადვოკატს კლიენტისთვის უნდა დაებრუნებინა გაწეული მომსახურების საფასურის და საადვოკატო ხარჯების გამოქვითვით მიღებული ჰონორარის ნაწილი. ვინაიდან ვერ დადგინდა ადვოკატის მიერ კლიენტისთვის მიღებული ჰონორარის ნაწილის დაბრუნება, ადვოკატმა შესაძლოა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი: ,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.''

II სამოტივაციო ნაწილი

6. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

6.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

6.1.1 ადვოკატ დ. ვ. -სა და ლ. გ. -ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო 2017 წლის 06 ოქტომბერს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2017 წლის 06 ოქტომბრის Nxxx/xxხელშეკრულება.

6.1.2 ადვოკატი კლიენტს მომსახურების სახით უნდა დახმარებოდა უძრავი ქონების - ქ. თბილისში ყ. ქ. N3-ში არსებული უძრავი ნივთის დაკანონებაში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2017 წლის 06 ოქტომბრის Nxxx/xx ხელშეკრულება.

ლ. გ. -ის 2017 წლის 13 დეკემბრის საჩივარში მითითებული კონკრეტული გარემოებები.

ადვოკატ დ. ვ. -ის 2018 წლის 26 მარტის შესაგებელში მითითებული ახსნა-განმარტება.

6.1.3 ადვოკატმა კლიენტისგან საადვოკატო ჰონორარის სახით მიიღო 1000 (ათასი) აშშ დოლარი .

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2017 წლის 06 ოქტომბრის ლიბერთი ბანკის შემოსვლის ორდერი.

ლ. გ. -ის 2017 წლის 13 დეკემბრის საჩივარში მითითებული კონკრეტული გარემოებები.

ადვოკატ დ. ვ. -ის 2018 წლის 26 მარტის შესაგებელში მითითებული ახსნა-განმარტება.

2018 წლის 31 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე წარმოდგენილი მხარეთა ახსნა-განმარტებები

6.1.4 დ. ვ. -მ ლ. გ. -ისაგან ხარჯის სახით ნაცვლად ადვოკატის მიერ მოთხოვნილი 200 (ორასი) აშშ დოლარისა, მიიღო 300 (სამასი) ლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2018 წლის 31 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე წარმოდგენილი მხარეთა ახსნა-განმარტებები

6.1.5 ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად მოამზადა აზომვითი ნახაზი, ელ. ვერსია და ორთოფოტო; საჯარო რეესტრში კლიენტთან ერთად ორჯერ წარადგინა დოკუმენტაცია და მოითხოვა სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლების რეგისტრაცია; მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისგან უძრავი ნივთის შესახებ სრული ინფორმაციის დედანში გაცნობა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ადვოკატ დ. ვ. -ის 2018 წლის 26 მარტის შესაგებელში დართული აზომვითი ნახაზი და ორთოფოტო.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს #xxxxxxxxxxxxxდა #xxxxxxxx განცხადების მიღების ბარათი.

#TTxxxxxxxxxxxმიღების ბარათი.

6.1.6 ლ. გ. -სა და ადვოკატ დ. ვ. -ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდა 2017 წლის 28 ნოემბერს

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2017 წლის 28 ნოემბრის Nxxxxxxxxx მინდობილობის გაუქმება

2018 წლის 31 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე წარმოდგენილი მხარეთა ახსნა-განმარტებები

6.1.7 ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას ადვოკატს კლიენტის წინაშე აღებული ვალდებულება - უძრავი ნივთის დაკანონება, არ ჰქონია ბოლომდე შესრულებული.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ლ. გ. -ის 2017 წლის 13 დეკემბრის საჩივარში მითითებული კონკრეტული გარემოებები.

ადვოკატ დ. ვ. -ის 2018 წლის 26 მარტის შესაგებელში მითითებული ახსნა-განმარტება.

2018 წლის 31 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომის ოქმი.

6.1.8 ადვოკატმა წინასწარ არ მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია მისი საქმის მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2018 წლის 31 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომის ოქმი

6.1.9 ადვოკატს არ უწარმოებია კლიენტისგან მინდობილი თანხების მოხმარების ხარჯთაღრიცხვა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2018 წლის 31 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომის ოქმი.

6.1.10 ადვოკატ დ. ვ. -ს ხელშეკრულების შეწყვეტისას საადვოკატო ჰონორარის ნაწილი, რომელიც შესრულებული სამუშაოს პროპორციული ოდენობის მიღმა დარჩა, არ დაუბრუნებია კლიენტისათვის.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ლ. გ. -ის 2017 წლის 13 დეკემბრის საჩივარში მითითებული კონკრეტული გარემოებები.

ადვოკატ დ. ვ. -ის 26 მარტის შესაგებელში მითითებული ახსნა-განმარტება.

2018 წლის 31 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომის ოქმი.

7. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ შეისწვლა დისციპლინური საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და თვლის, რომ სადისციპლინო კოლეგიაში დისციპლინური საქმის განხილვისას ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადასტურდა, რომ ადვოკატ დ. ვ. -ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა. ეთიკის კომისიის მიერ დისციპლინური სახდელის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა დისციპლინური გადაცდომის შინაარსი და სიმძიმე, ასევე, კლიენტისთვის მიყენებული ზიანი.

8. სამართლებრივი შეფასება

8.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ დ. ვ. -ის მიერ დარღვეულია შემდეგი მუხლები:

,ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი: "ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ."

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-12 ნაწილი: ,,ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით".

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-13 ნაწილი: ,,ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგარიშგება."

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი: ,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი."

8.2 კლიენტისთვის საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ადვოკატის მიერ ,,სრული და ზუსტი ჩანაწერის" წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის აღრიცხვას და შესაბამისი მტკიცებულებების შექმნას.. აღნიშნული ვალდებულება უკავშირდება კლიენტის მოთხოვნისთანავე ანგარიშგების მოწესრიგებული სახით მიწოდების ვალდებულებას.

8.3 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ პროფესიული ეთიკის კოდექსი ავალდებულებს ადვოკატს მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ (იხ. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6). ამ ნორმის არსი გამომდინარეობს იქიდან, რომ კლიენტს წინასწარ უნდა მიეცეს საშუალება მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება მისი საქმის წარმოების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს წინასწარ ექნება ინფორმაცია მისი საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ, კლიენტს საშუალება მიეცემა თავად მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება: 1) გააგრძელოს თუ არა მისი საქმისწარმოება სასამართლოში, 2) მიმართოს თუ არა დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მეთოდებს, 3) მოურიგდეს თუ არა მხარეს, რათა შეიმციროს საქმესთან დაკავშირებით გასაწევი ხარჯები თუ მიმართოს სხვა კანონიერ საშუალებებს მისი უფლებების დასაცავად. შესაბამისად, მოცემული ნორმის დაცვა, ადვოკატის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეთიკურ ვალდებულებას წარმოადგენს, რომელიც, როგორც საპროცესო ეკონომიურობიდან, ასევე კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარეობს.

8.4 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მინდობილი თანხები წარმოადგენს კლიენტის საკუთრებას და მხოლოდ საქმიდან გამომდინარე შეიძლება მისი განკარგვა, რასაც აუცილებლად თან უნდა სდევდეს სათანადო მტკიცებულებებით გამყარებული ხარჯთაღრიცხვა (იხ. ადვოკატთა

პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-12 ნაწილი) ადვოკატის მიერ აღნიშნული ეთიკური ვალდებულებების შესრულება ამყარებს კლიენტში ნდობას არა მხოლოდ ამ კონკრეტული ადვოკატის, არამედ ადვოკატთა კორპუსის მიმართ და შესაბამისად ზრდის საზოგადოებაში ნდობას ადვოკატის პროფესიის მიმართ.

8.5 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატთა პროფესიული ქცევის წესები ადვოკატს ავალდებულებს განსაკუთრებული გულისხმიერებით მოეკიდოს კლიენტის მიერ გადაცემულ ფულად სახსრებს (მინდობილ ხარჯებს) და არ განათავსოს ეს მინდობილი თანხები მის ფულად სახსრებთან ერთად (იხ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-13 ნაწილი), ამავე ნორმაში მითითებულია ადვოკატის კიდევ ერთი ვალდებულება, რომელიც მინდობილი ხარჯების კეთილსინდისიერად მართვას ითვალისწინებს. ამ ნორმის არსი გამომდინარეობს იქიდან, რომ ადვოკატის შესაძლო ფულადი ვალდებულები არ უნდა გავრცელდეს კლიენტის თანხებზე (მინდობილ თანხებზე), რადგან ეს არ არის ადვოკატის აქტივი.

8.6 ეთიკის კომისიამ 2012 წლის 02 ივლისის გადაწყვეტილებით საქმეზე N003/12 დაადგინა რომ: ,,ადვოკატმა არ უნდა დაუშვას იმ ფულადი სახსრების დაყოვნება, რაიმე სახით საკუთარ ანგარიშზე თუ პირად სალაროში შენახვა, რომელიც არ წარმოადგენს ადვოკატის ქონებას. კლიენტის მიერ ფულადი თანხის მინდობა ადვოკატისთვის, ამ უკანასკნელისთვის წარმოშობს ვალდებულებას მინდობილი თანხა კლიენტის მითითებისამებრ, კონკრეტული დანიშნულებით გამოიყენოს. იმ შემთხვევაში თუ კლიენტის მიერ მინდობილი თანხის გამოყენება აღარ არის საჭირო, მნიშვნელობა არ აქვს სუბიექტური თუ ობიექტური საფუძვლის გამო, ადვოკატს პროფესიული ეთიკური ვალდებულებებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ფარგლებში, ეკისრება პასუხისმგებლობა შეძლებისდაგვარად უმოკლეს დროში აცნობოს კლიენტს თანხის დაბრუნების შესახებ და პირველივე შესაძლებლობისთანავე ყოველგვარი დაყოვნებისა და კლიენტთან შეთანხმების გარეშე, მინდობილი ქონების სხვა ქმედების გასახორციელებლად გადამისამართების არიდებით, უკლებლი დაუბრუნოს კლიენტს ამ უკანასკნელის კუთვნილი თანხა, თუ სხვა ქონება.”

8.7 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ თუ ადვოკატი ბოლომდე ვერ ასრულებს საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, იგი ვალდებულია, გაწეული მომსახურების და მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით, კლიენტს დაუბრუნოს საადვოკატო ჰონორარის ნაწილი. ადვოკატს შეუძლია თავად განსაზღვროს მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა სამართლიანად და რა ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს, თუმცა აღნიშნული გაანგარიშება უნდა იყოს ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით გათვალიწინებული სრული მომსახურებიდან და ანაზღაურებიდან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე, მის მიერ შესრულებული სამუშაოს პროპორციული. მხოლოდ ფორმალურად, ნებისმიერი თანხის ოდენობის დაბრუნება არ შეიძლება ჩაითვალოს პროპორციულ ოდენობად და შესაძლოა კვლავ იკვეთებოდეს პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის დარღვევა (იხ. ეთიკის კომისიის წევრის განსხვავებული მოსაზრება, საქმეზე #057/17). ამდენად, მნიშვნელოვანია ადვოკატმა ზუსტად განსაზღვროს რა ოდენობა იქნება პროპორციული და რომელიმე მხარის მიერ სამართლებრივი მომსახურების ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის

შემთხვევაში დაუბრუნოს აღნიშნული თანხა კლიენტს სხვა ფულად სახსრებთან და საქმის მასალებთან ერთად.

8.8 ეთიკის კომისიამ 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე N037/14 დაადგინა: ,,საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.“

8.9 ლ. გ. -სა და ადვოკატ დ. ვ. -ს შორის 2017 წლის 06 ოქტომბერს გაფორმებული საადვოკატო მომსახურების შესახებ Nxxx/xxხელშეკრულების თანახმად, ადვოკატს უნდა დაეცვა კლიენტის ინტერესები ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოში უძრავი ქონების დაკანონებასთან დაკავშირებით. ადვოკატსა და კლიენტს შორის საადვოკატო მომსახურების საგანს წარმოადგენდა ქ. თბილისში xxxxxxxxxxxx ქ. N3-ში არსებული უძრავი ნივთის დაკანონება. საადვოკატო მომსახურების ჰონორარი მოცემულ საქმესთან დაკავშირებით განისაზღვრა 1000 (ათასი) აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც ლ. გ. -მ ბანკის საშუალებით გადაურიცხა ადვოკატს (#xxxxxxxxxx ლიბერთი ბანკის შემოსვლის ორდერი). დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ურთიერთობის შეწყვეტამდე ადვოკატმა კლიენტის სასარგებლოდ განახორციელა შემდეგი იურიდიული მოქმედებები: გაუწია კლიენტს კონსულტაცია სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლებათა რეგისტრაციისასთან და მემკვიდრეობასთან დაკავშირებით; მოამზადა აზომვითი ნახაზი, ელ. ვერსია და ორთოფოტო; საჯარო რეესტრში კლიენტთან ერთად ორჯერ წარადგინა დოკუმენტაცია და მოითხოვა სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლების რეგისტრაცია (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს #xxxxxxxxxxxxდა #xxxxxxxx განცხადების მიღების ბარათი); ადვოკატმა მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისგან უძრავი ნივთის შესახებ სრული ინფორმაციის დედანში გაცნობა (#TTxxxxxxxxxx მიღების ბარათი); მინდობილობის შეწყვეტის მომენტში ადვოკატს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ბოლომდე არ ჰქონდა შესრულებული, ვინაიდან ლ. გ. -ის სახელზე არ იყო რეგისტრირებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება.

8.10 ადვოკატმა დ. ვ. -მ კლიენტს წინასწარ არ მიაწოდა ინფორმაცია საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ, რითაც ლ. გ. -ს არ მიეცა შესაძლებლობა მიეღო ინფორმირებული გადაწყვეტილება მისი საქმის სამართლებრივი ბედის შესახებ. ადვოკატმა დ. ვ. -მ კლიენტს ხარჯის სახით დამატებით გამოართვა 300 (სამასი) ლარი, თუმცა არ განუმარტა კონკრეტულად თუ რისთვის იყო გათვალისწინებული ეს ხარჯი, იყო ეს სახელმწიფო ბაჟის სახით შესატანი თანხის ოდენობა, დოკუმენტების თარგმნის, ნოტარიულად დამოწმების, სატრანსპორტო თუ სხვა ხარჯი, რომელიც კლიენტის საქმის წარმოებას უკავშირდებოდა. განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ თანხა კლიენტს გამოართვა სამომავლო საჭიროებებიდან გამომდინარე. ეს იყო ზოგადი სახის ხარჯი, რომელიც შესაძლოა მომავალში წარმოშობილიყო. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მიუხედავად არსებული ეთიკური ვალდებულებისა, მითითებული თანხის საჭიროებების შესახებ ადვოკატმა დეტალური ინფორმაცია არ მიაწოდა კლიენტს, რის გამოც ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი.

8.11 ადვოკატი არ აწარმოებდა მინდობილი თანხების ხარჯთაღრიცხვას, რის გამოც კლიენტს არ ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა ინფორმაციას მისი კუთვნილი თანხების განკარგვასთან დაკავშირებით. საჩივრის ავტორმა მოსთხოვა ადვოკატს ქვითრების წარმოდგენა იმის დასადგენად თუ რაში დახარჯა ადვოკატმა გადაცემული თანხა, თუმცა ადვოკატს მისთვის ქვითრები არ წარუდგენია და მხოლოდ იუსტიციის სახლიდან ამოღებული საბუთები დაუბრუნა. შესაბამისად, ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექის მე-8 მუხლის მე-12 ნაწილი.

8.12 ადვოკატმა დ. ვ. -მ კლიენტის მიერ ხარჯის სახით გადაცემული თანხა არ განათავსა ცალკე, მისი ფულადი სახსრებისაგან დამოუკიდებლად, რითაც დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-13 ნაწილი.

8.13 2017 წლის 28 ნოემბერს ლ. გ. -მ გააუქმა 2017 წლის 06 ოქტომბერს შედგენილი მინდობილობა, რომლითაც წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ანიჭებდა ადვოკატ დ. ვ. -ს. საჩივრის ავტორის უკმაყოფილება გამოიწვია ადვოკატის მიერ შერჩეულმა სამოქმედო სტრატეგიამ. მიუხედავად სურვილისა, კლიენტის წარმომადგენლობის გაგრძელება ადვოკატმა ვერ შეძლო ლ. გ. -ის მიერ მინდობილობის გაუქმების შედეგად. ადვოკატის განმარტებით, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას უძრავი ნივთის დაკანონების საქმე არ იყო დასრულებული და საქმის წარმოება უნდა გაგრძელებულიყო მემკვიდრეობის მიღების გზით, იგი გააგრძელებდა საქმის წარმოებას რომ არა კლიენტის მიერ წარმოების ხელის შეშლა და მისი ბრალით ხელშეკრულების შეწყვეტა. შესაბამისად, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატს წარმოეშვა გამოუმუშავებელი ჰონორარის, სხვა ფულადი სახსრებისა და საქმის მასალების კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება, რაც ადვოკატს არ შეუსრულებია.

8.14 საჩივრის ავტორი და ადვოკატი სადავოდ არ ხდიან იმ ფაქტს, რომ ადვოკატმა მიიღო საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჰონორარი 1000 (ათასი) აშშ დოლარი და საადვოკატო მომსახურების ხარჯისთვის 300 (სამასი) ლარი, ადვოკატის მიერ გასაწევი საადვოკატო მომსახურება მოიცავდა უძრავი ქონების - ქ. თბილისში ყ. ქ. N3-ში არსებული უძრავი ნივთის კლიენტისთვის დაკანონებას. ადვოკატს კლიენტის საქმეზე შეთანხმებით გათვალისწინებული სამუშაო ბოლომდე არ შეუსრულებია - ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის

შეწყვეტისას კლიენტს არ ჰქონია შეთანხმებისამებრ უძრავი ნივთი დაკანონებული. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატმა არაერთი იურიდიული მოქმედება განახორციელა კლიენტის ინტერესების დასაცავად და მიუხედავად მისი სურვილისა, რომ გაეგრძელებინა კლიენტის მომსახურება, კლიენტთან ურთიერთობის დასრულების შემდეგ, ადვოკატს უნდა გამოექვითა მის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურებისთვის ექვივალენტური სავარაუდო თანხა მის მიერ მიღებული საადვოკატო მომსახურების საზღაურიდან, ხოლო ჰონორარის დარჩენილი ნაწილი უნდა დაებრუნებინა კლიენტისთვის, ვინაიდან მან კლიენტის ნების შესაბამისად ვეღარ შეძლო შეთანხმების ფარგლებში ლ. გ. -ის წარმომადგენლობა. ამასთან, ადვოკატს კლიენტისათვის უნდა დაებრუნებინა მინდობილი თანხების ის ნაწილი, რომელიც ურთიერთობის შეწყვეტიდან გამომდინარე ადვოკატმა ხარჯის სახით ვეღარ გასწია კლიენტის საქმის წარმოების განმავლობაში. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, კლიენტის ფულადი სახსრების და გამოუმუშვებელი ჰონორარის კლიენტისთვის დაუბრუნებლობით ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით დადგენილი რეგულაცია.

8.15 განხილვის კოლეგიამ იმსჯელა ასევე ადვოკატის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის დარღვევაზე, რადგან საჩივრის ავტორს ჰქონდა პრეტენზია, რომ ადვოკატი მას არაკვალიფიციურად მოემსახურა. კერძოდ, საჩივრის ავტორი უთითებდა, რომ ადვოკატმა არასწორად შეარჩია საქმის წარმოების სტრატეგია. ლ. გ. -ის მოსაზრებით, ადვოკატს მომსახურების ფარგლებში სამკვიდროს გზით უნდა დაერეგისტრირებინა ქონება კლიენტის სახელზე, თუმცა ადვოკატმა ლეგალიზების გზა არჩია, რაც თავიდანვე უშედეგო იყო. განხილვის კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოცემულ მოსაზრებას შემდეგი გარემოების გამო: საპროცესო ეტაპზე საქმის გამოკვლევისას დადგინდა, რომ საჩივრის ავტორი ადვოკატის მიერ ინფორმიერბული იყო ადვოკატის მიერ შერჩეული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შესახებ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის საწყის ეტაპზე. ადვოკატმა დ. ვ. -მ კლიენტის ინტერესების ფარგლებში განახორციელა არაერთი იურიდიული მოქმედება, რომელსაც შესაძლოა მოჰყოლოდა კლიენტისათვის სასურველი შედეგი - უძრავი ქონების რეგისტრაცია ლ. გ. -ის სახელზე. ხოლო თუ რამდენად ეფექტიანი და სამართლებრივად დასაბუთებული იყო ადვოკატის მიერ შერჩეული საქმის წარმოების სტრატეგია, აღნიშნულის შეფასება სცდება ეთიკის კომისიის კომპეტენციის ფარგლებს, ამდენად, განხილვის კოლეგია სრულად იზიარებს საპროცესო კოლეგიის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ არ იკვეთება ადვოკატ დ. ვ. -ის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის დარღვევა.

8.16 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ დ. ვ. -ის მიერ დაირღვა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის "ა" და "ბ" ქვეპუნქტი, მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი, პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილები, რის გამოც ადვოკატი ექვემდებარება დისციპლინირებას.

8.17 ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელის სახეებსა და ზემოქმედების ღონისძიების ფორმებს, რომელიც შესაძლოა ადვოკატს დაეკისროს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. ეს სახდელებია: გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

8.18 განხილვის კოლეგიამ გაითვალისწინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით და გარემოება, რომ ადვოკატმა დ. ვ. -მ როგორც ეთიკის კომისიის საპროცესო, ისე განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ვერ გააცნობიერა ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის არსი, უარი განაცხადა საჩივრის ავტორთან მორიგებაზე და მისთვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნება.

8.19 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ დ. ვ. -ის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს დისციპლიური სახდელის ფორმა - გაფრთხილება.

8.20 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, საუბარია ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც.

8.21 ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად.

8.22 სახდელის შეფარდების პროპორციულობის მნიშვნელობაზე იმსჯელა ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს-შ/3-15 და განმარტა, რომ ,,დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.“

8.23 განხილვის კოლეგიამ ადვოკატისათვის სახდელის - გაფრთხილების დაკისრებისას იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა, კერძოდ 2016 წლის 16 სექტემბრის N038/16 გადაწყვეტილება. N038/16 დისციპლინური საქმის ფაქტობრივი გარემოებები ემთხვევა განსახილველი საქმის ფაქტობრვ გარემოებებს.აღნიშნულ საქმესა და განსახილველ დისციპლინურ საქმეს შორის კავშირი სახეზეა, როდესაც ადვოკატმა კლიენტის მიმართ ნაკისრი ვალდებულება ბოლომდე ვერ შეასრულა თუმცა ჰონორარი სრული ოდენობით მიიღო და ურთიერთობის შეწყვეტისას ჰონორარის ნაწილი კლიენტისთვის არ დაუბრუნებია.

8.24 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატს განზრახ არ მიუყენებია ზიანი ადვოკატის პროფესიისათვის, ადვოკატი პატივს სცემს პროფესიულ ღირებულებებს, ამასთან,

გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ადვოკატს არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი, რის გამოც ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ არ არსებობს ადვოკატ დ. ვ. -სთვის საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერების ან შეწყვეტის საფუძველი.

8.25 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას.

8.26 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მოცემული საქმის გარემოებებიდან და არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, ადვოკატ დ. ვ. -ის მიმართ უნდა იქნას გამოყენებული დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის "ა" და "ბ" ქვეპუნქტით, მე-6 მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის პირველი ნაწილით, 34-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტით, 35-ე, 36-ე მუხლებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილით, ასევე ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე–4 მუხლის მე-5-6 ნაწილებით, მე-6 მუხლის „ა" ქვეპუნქტით, მე-19 მუხლით, მე-20 მუხლით, 33-ე მუხლით, 35-ე მუხლით, 40-ე მუხლის მეორე ნაწილით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე 098/17 ადვოკატ დ. ვ. -ის მიმართ /სიითი Nxxxx/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ადვოკატ დ. ვ. -ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ.N32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/